ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, საბა ნათენაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ

ოზურგეთის N3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 25 და 26 თებერვალს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 500. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული გარემო.
ექსპერტმა, საბა ნათენაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
სხდომის თავმჯდომარემ თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, საბა ნათენაძეს, ჰქონდა თუ არა სკოლას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბა ნათენაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა აღნიშნული დასკვნა. მისივე განმარტებით, სკოლა ახალად რეაბილიტირებული იყო და დასკვნა რაიმე სახის ხარვეზს არ შეიცავდა.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, სკოლას მიმართა კითხვით, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ, როგორ გეგმავდა სკოლა მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდას, ასევე დაინტერესდა, შესრულებული ჰქონდა თუ არა სკოლას ექსპერტთა გაცემული რჩევები.
სკოლის წარმომადგენელმა, ლელა საჯაიამ, აღნიშნა, რომ სკოლის რეაბილიტაციის შემდგომ გაიზრდებოდა მოსწავლეთა კონტიგენტი სკოლაში, ვინაიდან მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლეთა გადინებას სხვა სკოლებში. რაც შეეხება ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებს, სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:12
**დასრულების დრო** - 16:17

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 237095898) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი ოზურგეთი, ბათუმის ქუჩა N 87 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი ოზურგეთი, ბათუმის ქუჩა N 87 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი ოზურგეთი, ბათუმის ქუჩა N 87 |

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**
**2026 წლის სექტემბერში** კანონმდებლობასთან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, **2027 წლის მარტში** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების, ხოლო, **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**7. სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი ს განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ

არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინა ძულიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 09 და 10 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თინა ძულიაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
სხდომის თავმჯდომარემ,თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, შეარჩიეს თუ არა პედაგოგი იმ საგნობრვი მიმართულებით, სადაც სკოლას კადრის დეფიციტი ჰქონდა.
სკოლის დირექტორმა, ხათუნა ხარაბაძემ, აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში სრულად მოგვარდება აღნიშნული პრობლემა.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:33
**დასრულების დრო** - 16:36

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის

პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლას (ს/კ: 244970849) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალშენი |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალშენი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალშენი |

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**
**2026 წლის სექტემბერში** კანონმდებლობასთან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების დასაქმების, ხოლო **2027 წლის მარტში** შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, სკოლის შენობის ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების, ხოლო **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**8.სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მედეა მაქაცარიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 12 და 13 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 80. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 80 მოსწავლისთვის. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს სკოლა ახორციელებდა ორ შენობაში - ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელი ქვემო ენთელი მე-2 ქუჩა N1 და სოფელ ქვემო ენთელის პირველი ქუჩა N32-ში.

ექსპერტმა, მედეა მაქაცარიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, იკითხა სკოლის სპორტული მოედნის გვერდით არსებული შენობა - ნაგებობა რა ფუნქციურ დატვირთვას ასრულებდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული შენობა-ნაგებობა ეკუთვნოდა მუნიციპალიტეტს, რომელიც სრულად იყო იზოლირებული და დაცული იყო უსაფრთხოების ნორმები.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ კითხვით მიმართა ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპერტს, კურიკულუმთან დაკავშირებული გასაუბრების დროს რა გარემოებები გამოიკვეთა.

ექსპერტმა ნანა ნოზაძემ განმარტა, რომ კურიკულუმში ფიქსირდებოდა გარკვეული შეუსაბამობები, რის საფუძველზეც გაიცა შესაბამისი რჩევები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:33
**დასრულების დრო** - 16:36

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლას (ს/კ: 222721712) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ენთელი მე-2 ქუჩა, N1;<br>ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ენთელი პირველი ქუჩა, N32 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ენთელი, მე - 2 ქუჩა, N 1 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ენთელი, მე - 2 ქუჩა, N 1 |

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**
**2026 წლის აგვისტოში** რეაბილიტირებული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ განახლებული დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სივრცის სრულად აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების, ხოლო **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**9. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 25 და 26 თებერვალს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 600. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და არსებული მატერიალური და ტექნიკური რესურსის საფუძველზე სკოლას შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს სკოლა ახორციელებდა ორ შენობაში - ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცაიში, გოგებაშვილის ქუჩა N17-ში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ცაცხვში, თბილისის ქუჩა N264 -ში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობას ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ სკოლის ძირითად ტერიტორიაზე მდებარეობდა შენობა, რომლის ნაწილსაც საცხოვრებლად იყენებდა ამავე სოფლის წარმომადგენელი. ექსპერტის თქმით, სოფელ ცაცხვში მდებარე შენობის მეორე სართული იყო დაკეტილი, ვინაიდან ესაჭიროებოდა სრული რეაბილიტაცია.
ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი „ნაწილობრივი შესაბამისობით“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, კერძოდ, კითხვა შეეხო მათემატიკის კათედრის მიმართ გაცემულ რჩევას და იმას, თუ რა ქმედითი ნაბიჯი გადადგა დაწესებულებამ აღნიშნულის გამოსწორებისთვის.
დაწესებულების დირექტორმა, მამუკა დაგარგულიამ, აღნიშნა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სრულად აღმოიფხვრებოდა. ვიდეოსათვალთვალო კამერების დამონტაჟების საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სკოლამ ამ მიმართულებით გადადგა ქმედითი ნაბიჯები და აქტიურად მუშაობდა საკითხის მოწესრიგების მიზნით.
საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა კითხვა დასვა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა უსტატუსო მასწავლებლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი წარმოადგენდნენ პირებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში მუშაობდნენ სკოლაში, თუმცა არ ჰქონდათ ჩაბარებული შესაბამისი გამოცდა.

საბჭოს სხომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:51
**დასრულების დრო** - 16:56

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-$2^1$ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლას (ს/კ: 220373753) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცაიში, გოგებაშვილის ქუჩა N17;<br>ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცაცხვი, თბილისის ქუჩა N264 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცაიში, გოგებაშვილის ქუჩა N17 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცაიში, გოგებაშვილის ქუჩა N17 |

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**
**2026 წლის სექტემბერში** საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის ( სოფელი ცაცხვის შენობაზე) ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟების (სოფელი ცაცხვის შენობაზე), ძირითადი შენობის ეზოში მდებარე შენობის შემოღობვის, ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლების დასაქმების, საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ სრულყოფილი შეფასების რუბრიკების, **2028 წლის მარტში** სოფელი ცაცხვის შენობის მეორე სართულის სრულად რეაბილიტირების და ორივე შენობაში პანდუსის ან ლიფტის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების, ხოლო **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**10.სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05 და 06 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი, ვინაიდან სკოლაში არსებული ფუნქციური სივრცეები იყო მცირე ზომის. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა მოსწავლეთა რაოდენობის 250-ით განსაზღვრას ორი ცვლის პირობებში.

ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, კვალიფიციური კადრების უზრუნველყოფის კუთხით ხომ არ იყო სკოლაში სიახლე.

სკოლის წარმომადგენელმა, ნინო სულაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად აცხადებს ვაკანსიებს და იმედოვნებდა, რომ სექტემბრამდე შეძლებდა შესაბამისი კადრის მოძიებას.
საბჭოს წევრმა, ეკა გურგენაშვილმა, ჰკითხა ხომ არ მოხდა სკოლის შენობის ლიფტით ტექნიკურად გამართვა.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა რომ საკითხი არ მოწესრიგებულა.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, კითხვით მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა ნანა მარღანიამ აღნიშნა, რომ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე განხილული იყო ყველა ის გამოწვევა, რომელიც გამოვლენილი იყო სხვადასხვა დოკუმენტში. სკოლა აქტიურად მუშაობდა აღნიშნული საკითხების გამოსწორებაზე.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 17:15
**დასრულების დრო** - 17:19

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2$^{1}$ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლას (ს/კ: 233137897) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის | დაწყებითი | ქართული | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნინიგორი |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნინიგორი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნინიგორი |

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**
**2026 წლის სექტემბერში** შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმების, **2027 წლის აპრილში** საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, **2027 წლის სექტემბერში** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის,

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:23 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

საბჭოს სხდომის მდივანი ნონა ჩუბინიძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი